

უ.ს.ფ. ჯი ი ინვესტმენტ კორპ

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....3-4
- საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.....5-6
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....7-9

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021-2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7,271,868	7,885,620	5,391,031
აქტივის გამოყენების უფლება	601,565	662,680	693,865
სულ გრძელვადიანი აქტივები	7,873,433	8,548,300	6,084,896
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	55,170	64,254	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(1)	-	151,513
გადახდილი ავანსები	17,409	17,409	19,363
საგადასახადო აქტივი	-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	129,925	130,849	134,948
სულ მოკლევადიანი აქტივები	202,504	212,512	305,824
სულ აქტივები	8,075,936	8,760,812	6,390,720
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8,564,692	8,564,692	7,032,001
გაუნაწილებელი მოგება	(6,159,794)	(4,743,716)	(2,713,693)
სულ კაპიტალი	2,404,898	3,820,976	4,318,308
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	4,733,785	3,995,444	819,150
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	742,024	751,131	759,275
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5,475,809	4,746,575	1,578,425
მოკლევადიანი ვალდებულებები			

გადასახდელი პროცენტი	88,319	20,305	24,198
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	127,649	60,806	459,385
საგადასახადო ვალდებულება	(20,737)	112,150	10,404
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	195,230	193,261	493,987
სულ ვალდებულებები	5,671,040	4,939,836	2,072,412
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	8,075,938	8,760,812	6,390,720

ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021-2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022 GEL წელი 2022	2021 GEL წელი 2021
შემოსავალი	-	-
პირდაპირი დანახარჯები	(260,788)	-
საერთო მოგება	(260,788)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,240,583)	(1,947,029)
საექვო მოთხოვნების რეზერვის (ხარჯი)/აღდგენა	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-
საოპერაციო მოგება	(1,501,371)	(1,947,029)
ფინანსური ხარჯი	(384,320)	(305,603)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული წმინდა მოგება/(ზარალი)	318,850	150,317
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	202,529	80,743
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(51,766)	(8,451)
მოგება დაბეგვრამდე	(1,416,078)	(2,030,023)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	(1,416,078)	(2,030,023)
სხვა სრული შემოსავალი	-	-

სხვა სრულ შემოსავალზე დარიცხული მოგების გადასახადი

-

-

წმინდა სრული შემოსავალი

-

-

სულ წლის სრული შემოსავალი

(1,416,078)

(2,030,023)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

გაცნობებთ, რომ უ.ს.ფ. ჯი ი ინვესტმენტს კორპ დაფუძნდა 2012 წლის 6 ივნისს და კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს შერეული სოფლის მეურნეობა, კერძოდ - მრავალწლიანი კულტურების მოყვანა (თხილი, ნუში).

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ერთეულ ლარში.

3. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

4. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიას 2021-2022 წლებში არ გაუცია გაუნაწილებელი მოგება დივიდენდის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

5. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
 - ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
 - ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
 - ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
- ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	10%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება როგორც საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან, ასევე სალაროში არსებული ნაღდი ფულისგან.

8. სავაჭრო ვალდებულებები


სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში/ხარჯებში.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო მეწონილი.

კომპანიის მიერ მიღებული მოსავალი აღირიცხება რეალური ღირებულებით. აღიარება ხდება მოსავლის აღების მომენტში არსებული საბაზრო ფასით, რომლის გადახედვაც ხდება პერიოდულად. იმ შემთხვევაში თუ არსებობს მტკიცებულება საბაზრო ფასის ცვლილების, ხდება მარაგების გადაფასება.

დირექტორი:



თორნიკე ლათათია

